საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2995
29/06/2022

2995-21-2-202206291456

შპს „გეო ენერჯის“

მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი,

მ. ალექსიძის ქ. N 3, ბლოკი ბ, ბ. 48

ელ.ფოსტა: b.kharati@iahoo.com

ასლი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობას

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „გეო ენერჯის“ მიერ 2022 წლის 14 ივნისს წარმოდგენილი იქნა N 2347 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშს.

წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტომ უზრუნველყო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, მათ შორის 2022 წლის 4 ივლისს 14:00 საათზე ქ. თბილისის (სოფ. ფონიჭალა) № 218-ე საჯარო სკოლის შენობაში ჩაინიშნა საჯარო განხილვა (https://nea.gov.ge/Ge/GZSH/270).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა წერილი N16-0122174938, რომლის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ № 01.18.13.033.139) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა (ტზ-1). **ამასთან, სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ცნობით, ტერიტორიაზე მოქმედ ფუნქციურ ზონაში ს-1-ში ფეროშენადნობი ქარხანა არ წარმოადგენს არც დასაშვებ და არც საგამონაკლისო წესით დასაშვებ სახეობას.** დაინტერესებაში არსებული ტერიტორია ხვდება ასევე

თვითმფრინავების ასაფრენი ზოლის შეზღუდვის არეალში, სადაც ნებისმიერი შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილი და სიმაღლე დაინტერესებულმა პირმა უნდა შეათანხმოს აეროდრომის ექსპლუატანტთან შპს „ტავ ურბან საქართველოსთან“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ სააგენტო წყვეტს სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს წერილში მითითებული საკითხების დაზუსტების/შეთანხმების გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდგომ.

მოცემული გარემოებიდან გამომდინარე დამატებით გაცნობებთ, რომ 2022 წლის 4 ივლისს 14:00 საათზე ქ. თბილისის (სოფ. ფონიჭალა) № 218-ე საჯარო სკოლის შენობაში დაგეგმილი შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის **სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა აღარ გაიმართება.**

დანართი: სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი (N 16-0122174938).

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო